

სტუდენტთა მიერ ქართული და უცხოური საგანმანათლებლო სისტემის  
შეფასება და მათი მიგრაციული განწყობები - სახელმწიფოს როლი და  
გამოწვევები

ეკატერინე ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების პროგრამა

ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე ნოზაძე

2018 წელი

## აბსტრაქტი

ჩემს ნაშრომში, მსურს, გამოვიკვლიო კავშირი სტუდენტთა ქართული უმაღლესი განათლების სისტემით კმაყოფილების დონესა და მათ მიგრაციულ განწყობებს შორის. აღნიშნულ ნაშრომის მთავარი საკვლევი საკითხია სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის გაგება და მათი დამოკიდებულებების გამოვლენა ქართულ და უცხოურ საგანმანათლებლო სისტემების მიმართ. აგრეთვე მსურს გამოიკვეთოს გაცვლითი პროგრამების ეფექტურობის დონე და რაც მთავარია - ახალგაზრდების მიგრაციული განწყობები.

წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთი მთავარია მიზანია, აგრეთვე, წარმოაჩინოს სახელმწიფოს როლი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. ხაზი გაუსვას მთავარ გამოწვევებს, საკვანძო საკითხებსა თუ პრობლემებს და ვიმსჯელოთ მათი მოგვარების გზებზე. განათლების სისტემაში ნებიმისიერი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან, გრძელვადიან პერიოდში, გადამწყვეტია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია განათლების სფერო და მასში მიმდინარე პროცესები.

ნაშრომი ასახავს კონკრეტული გამოკვლევის შედეგებს. გამოკვლევა ჩატარდა 2018 წლის გაზაფხულზე, ქალაქ თბილისში, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი, უფრო კონკრეტულად-*სტრუქტურირებული პირისპირი ინტერვიუ*. თვისებრივი მეთოდებიდან კი სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტების უმრავლესობა უკმაყოფილოა ქართული უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირებით და ხედავენ, აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან, მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების აუცილებლობას; უცხოეთის უმაღლესი (ძირითადად იგულისხმება ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები) სასწავლებლები ერთგვარი ეტალონია ქართველი სტუდენტობისათვის და მათი უმრავლესობა შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში დაუფიქრებლად წავიდოდა საზღვარგარეთ განათლების მისაღებად.

## Abstract

The aim of this paper is to examine the relation between the level of satisfaction of students with Georgian education and their migration moods. In particular, the paper emphasizes the understanding of information level of students and determination of their attitudes toward Georgian and foreign educational systems, as well as examination of efficiency of exchange programs and revealing migration moods of young people.

One of the main objectives of the presented paper is to demonstrate the role of the government in the higher education system. Underline the main challenges, key issues and problems and discuss the ways of their solution. In the long term, any decision from the government in the education system is decisive for the economic development of the country, and that is why I think that one of the main issues of public policy is education and the ongoing processes.

This paper reflects the results of specific sociological research. The research has been held in spring, 2018 in Tbilisi using as quantitative as qualitative methods. Method of survey has been used from quantitative study methods, in particular – structured face-to-face interview. From the qualitative methods – depth interview and focus-group.

In the result of the research, it has been shaped that the most of students is dissatisfied with functioning of Georgian higher education system and consider the necessity of important reforms in this field; foreign higher educational facilities are so called reference standard for Georgian students and most of them would leave homeland rashly to receive education abroad (basically in European highly developed countries and United States of America).